<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ნატალია სამქანაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, გაგრძელდეს ნატალია სამქანაშვილის ქუჩა, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X:497367 Y:4616536
გზის სარეკომენდაციო არეალი
ნატალია სამქანაშვილის ქ.
X:497309 Y:4616170
N
1:2,500

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა
და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ქ -ნ ნინო ვარდოსანიძეს

მოქ. [illegible]
მცხ. ლიდი ლილო - ნაკვ. 645
ტელ. 595474526
პირადი: 30100107555

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

[illegible] სოფ ლიდი ლილოში [illegible]
[illegible]

ნაკ. 31.08.16.845

[illegible]

6 03 2023 წ.

გადაწყვეტილება # M20002248/3 (24/02/2020 18:42:58)

ხარვეზის დადგენის შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება **#M20002248** 19/02/2020 12:27:43 (განმცხადებელი: დავითი ბოჭორიშვილი/39001007555/), რომლითაც მოთხოვნილია შენობა-ნაგებობების ნუმერაციის წარმოშობა.

მისამართი: სოფელი დიდი ლილო
საკადასტრო კოდი: 81.08.16.645

თანდართული დოკუმენტაცია:

- დაინტერესებული პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

„საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის და 202 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ. ვინაიდან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, თქვენს მიერ განცხადებით წარმოდგენილი უძრავი ნივთის (საკადასტრო კოდით N81.08.16.645 მიმდებარედ არ არსებობს ქუჩის სახელწოდება, შესაბამისად შეუძლებელია უძრავ ნივთზე ნომრის მინიჭების რეგისტრაციის განხორციელება.
აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაგზავნილია 2020 წლის 24 თებერვლის N 59388 წერილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში აღნიშნული უსახელო ქუჩისათვის სახელის მინიჭების თხოვნით.
სარეგისტრაციო მოთხოვნასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება 2020 წლის 24 თებერვლის N 59388 წერილზე პასუხის მიღებისთანავე.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (მის.: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2) და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032309592**
თარიღი: **05/04/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი დავით ბოჭორიშვილის 2023 წლის 6 მარტის #19/032306510-03 განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია 81.08.16.645 საკადასტრო ერთეულთან გამავალი ქუჩის სახელდება. მოგმართავთ თხოვნით, შეისწავლოთ აღნიშნული საკითხი და შესაძლებლობის შემთხვევაში გამოგვიგზავნოთ სიტუაციური ნახაზი.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0123103958**
თარიღი: **13/04/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 05.04.2023 წლის #03-032309592 (05.04.2023 წ. #14-01230953122-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი